

განმარტებითი ბარათი

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 ივლისის №115 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დადგენილი წესის თანახმად მოახდინა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის ლიკვიდაცია.

ამასთან, ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 23 აგვისტოს №1-1/948 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სამინისტროს ახალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დებულება, რომელიც ამავე კანონის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად უნდა გადასცემოდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება. სამწუხაროდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დღემდე ვერ ახერხებს სააგენტოსთვის აღნიშნული ქონების გადაცემას იმის გამო, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღნიშნული ქონების სააგენტოსთვის გადაცემა დავალებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ნაცვლად ეკონომიკური განვითარების სამინისტროსი.

იმდენად რამდენადაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოკლებულია სამართლებრივ უფლებამოსილებას განკარგოს სახელმწიფო ქონება და მათ შორის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ქონება და მოახდინოს მისი ადმინისტრაციული აქტით გადაცემა სააგენტოზე, საჭირო გახდა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები ზემოაღნიშნულ კანონში და ამ კანონის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო“.

აღნიშნული ცვლილებების შეტანა არ არის დაკავშირებული დამატებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფასთან.